ელექტრონული ჟურნალი N1

ქვანიას სკოლის მაცნე

შეიქმენი შენი ძალისაგან, ისწავლეთ სასოებამოწყალ ენა

სსიპ ზურაბ ქვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო

4600 ქუთაისი, ნიკეას №13 | ელ-ფოსტა: zspa@zspa.ge | ტელ: (0431) 232600 ტელ: (0431) 233471

წარმოგიდგენთ ზურაბ ჟვანიას სახელობის
სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის
ელექტრონული ჟურნალის
პირველ ნომერს.

ჟვანიას სკოლის ყოველკვარტალური
ელექტრონული ჟურნალის პირველი ნომერი
მიზნად ისახავს სახელმწიფო ენის ცოდნის
მნიშვნელობის შესახებ ინფორმირებულობასა და
ცნობიერების ამაღლებას, ასევე, ინტეგრაციის
პროცესის ხელშეწყობას.

სარჩევი

04 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ - ზურაბ ჭვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორის ქეთევან ჯაყელის მისალმება

05 გერმანიის ფედერაციის რესპუბლიკის ელჩის ჰუბერტ ქნირშის წერილი

06 "დედაენა" - გიორგი კეკელიძე

07 "ჩემი სახელმწიფო ენა" - ოქტაი ქაზუმოვი

08 როგორ გავხდე ჭვანიას სკოლელი

09 მე ჭვანიას სკოლელი ვარ

12 პროგრამები

13 სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამა

15 საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამა

16 სარეგისტრაციო ფორმა



ჩვენ

ქალბატონებო და ბატონებო,
ძვირფასო მეგობრებო!

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს სსიპ - ზურაბ ჭვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლისთვის დიდი პატივია წარმოგიდგინოთ ჭვანიას სკოლის ყოველკვარტალური, ელექტრონული გამოცემა „ჭვანიას სკოლის მაცნე".

ელექრონული ჟურნალი, სხვა საკითხებთან ერთად, სახელმწიფო ენის ცოდნის მნიშვნელობის შესახებ ინფორმირებულობასა და ცნობიერების ამაღლებას, ასევე ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

სიმბოლურია, რომ გამოცემის პირველი ნომერი ქართული ენის დღესთან დაკავშირებით მომზადდა. 14 აპრილი - დედაენის დღე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გამორჩეული დღეა. ის არა მხოლოდ ქართული ენის, არამედ ეროვნული თვითშეგნებისა და კულტურული თვითმყოფადობის, ჩვენი ერის კონსოლიდაციის სიმბოლოა.

მანამდე და მას შემდეგ, რაც 1991 წელს, ქართველი ხალხის მიერ 1978 წელს მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად, 14 აპრილი დედა ენის დღედ გამოცხადდა, კვლავ აქტუალურია ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?"

ამ მხრივ, აგერ უკვე 15 წელზე მეტია ზურაბ ჭვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს ქვეყანაში ქართული ენის სწავლების ხელმისაწვდომობისა და პოპულარიზაციის საქმეში, 2014 წლიდან კი, აღნიშნული საქმიანობა ხორციელდება სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის, ასევე, საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამების ფარგლებში. სკოლის საქმიანობა მოიცავს დაინტერესებულ პირთათვის სახელმწიფო ენის სწავლებას, საჯარო მართვისა და ადმინისტრირების, რეფორმების მხარდამჭერი თემატური მოკლე ან გრძელვადიანი სატრენინგო პროგრამების შემუშავებას და სამიზნე ჯგუფებისთვის მიწოდებას.

2014 წლიდან დღემდე პროგრამით ისარგებლა 19000-ზე მეტმა ბენეფიციარმა. ამჟამად პროგრამა ვნიი ბენეფიციარისთვის სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

ვიმედოვნებთ, ზურაბ ჭვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პირველი ელექტრონული გამოცემა სასარგებლო, საინტერესო, სასიამოვნო და საყვარელი საკითხავი გახდება გევრი მკითხველისთვის.

ქეთევან ჯაყელია

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს სსიპ -
ზურაბ ჭვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი

საქართველოში გერმანიის ფედერაციის რესპუბლიკის ელჩის, ჰუბერტ ქნირშის წერილი ზურაბ ჟვანიას სახელოების სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას

გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

Hubert Knirsch
Botschafter

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პატივცემულო სტუდენტებო, მასწავლებლებო და თანამშრომლებო,

გასულ წელს შესაძლებლობა მქონდა, მომენახულებინა ზურაბ ჟვანიას სახელობის სკოლა მარნეულში და გამეცნო დირექტორი, ქალბატონი ქეთევან ჯაყელი.

ახლა კი მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება, თქვენთვის მომემართა.

ის საქმიანობა, რომელსაც თქვენ ეწევით ან რომლისთვისაც ემზადებით, განსაკუთრებულია. თქვენ გეკისრებათ იმის პასუხისმგებლობა, თუ როგორ იცხოვრებენ თქვენი თანამოქალაქეები მომავალში.

საქართველო ვითარდება და მას ევროკავშირთან დაახლოება სურს. ჩვენ, როგორც საერთაშორისო პარტნიორები, მხარს ვუჭერთ ამ პროცესს. პროცესის წარმატება შეუძლებელი იქნებოდა მისი მხოლოდ დედაქალაქში განხორციელების შემთხვევაში. სწორედ რომ მუნიციპალიტეტებში და რეგიონებში წყდება ის, თუ როგორი იქნება ქვეყანა. მიუხედავად იმისა, თუ რომელია ადამიანებისათვის მშობლიური ენა, მათ აქვთ უფლება, მიიღონ ადგილობრივი ადმინისტრაციებისაგან მხარდაჭერა და დახმარება.

თავისთავად არაფერი ხდება - ყველგან არიან საჭირო ქმედითი და აქტიური მოქალაქეები.

გულითადად მინდა გისურვოთ ძალა და მოთმინება სწავლისას, ხოლო მომავალი საქმიანობისათვის დიდი ენერგია, შეუპოვრობა და ბევრი წარმატება. მოხარული ვიქნები, თუ კიდევ ერთხელ შეგხვდებით და უფრო მეტს გავიგებ თქვენი გამოცდილებისა და გეგმების შესახებ.

თქვენი
ჰუბერტ ქნირში
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი საქართველოში

დედაენა

ჩვენი ენა ჩვენივე იდენტობას განსაზღვრავს. ამ ენაში ვცხოვრობთ, მისი ნიშნებით ვმოქმედებთ, ვფიქრობთ, ვოცნებობთ. სიზმრებიც ამ ენაზე გველეპარაკებიან.

ეს ენა არის ჩვენი ხიდი წარსულთან და მომავალთან, წინაპრებთან და შთამომავლებთან. ხიდი, რომელსაც თვალდახუჭული გაივლი, თუ შენვე არ შეურყიე ხიმინჯები.

ქართული ენა, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ცოტა ადამიანი მეტყველებს, თავისი არსით, საერთაშორისო ენაა - ზმნა იოლად წვრთნის ნებისმიერ ნეოლოგიზმს, თითქოს ძველქართულიაო. დიდი ენაა ეს ენა, გლობალური და მეტის ღირსიც. ვეფხისტყაოსანია ამ ენის პასპორტი. უვიზო პასპორტი.

საუკენეებია ეს ენა გვიცავს და ჩვენგან უმცირეს მსახურებას ითხოვს - ესეც გვავიწყდება და გვეზარება ხოლმე. ამიტომაც უნდა შევახსენოთ ერთმანეთს ხშირად. შევახსენოთ და გავითვალისწინოთ.

მე მიხარია, რომ დღეს არაერთი ეთნიკურად არაქართველი ჩვენი მოქალაქე ეუფლება ქართულ ენას. ეს ჩვენ თანაბრად გვჭირდება.

გიორგი ერემეიძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
გენერალური დირექტორი

ჩემი სახელმწიფო ენა

როგორც ყველა ადამიანს, ასევე ყოველ ქვეყანას აქვს მთავარი ენა. ოღონდ, ქვეყნებს მთავარი, ანუ სახელმწიფო სტატუსის მქონე ერთი ან რამდენიმე ენა გააჩნიათ. მაგალითად, კანადაში ორი სახელმწიფო ენაა, ხოლო შვეიცარიაში სულაც ოთხი. აგრეთვე, არსებობს ისეთი ენებიც, რომლებიც მრავალი ქვეყნისთვის სახელმწიფო ენად გვევლინება. ასეთი ენებია - არაბული, ესპანური, ინგლისური, ფრანგული... ენისთვის „სახელმწიფო,, სტატუსის მინიჭება პოლიტიკური აქტია, რომელიც ამ უკანასკნელს ქვეყნის ოფიციალურ პირებსა და მოქალაქეებს შორის. ამდენად, ყველაფერი ამ ენაზე ან ამ ენიდან გამომდინარე წარიმართება - იქნება ეს მედიის საქმიანობა, პარლამენტის მუშაობა, სასამართლო სისტემა თუ სხვა რამ. სახელმწიფო ენა ერთგვარი „ლინგვა ფრანკაა" ქვეყნის ეთნიკურად სხვადასხვა წარმოშობის მოქალაქეთა შორისაც.

ყოველივე აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ენის ფლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყანაში მიმდენარე მოვლენებისთვის თვალის სადევნებლად და ამისდა კვალად საკუთარი ცხოვრების დასაგეგმადაც, ვინაიდან ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, რომელშიც ყველაფერი ელვის სისწრაფით იცვლება, ინფორმაციულ ვაკუუმში ყოფნა მეტად გვაზარალებს.

საქართველოს მოქალაქე ეროვნული უმცირესობების მხრიდან სახელმწიფო ენის, ქართულის, ცოდნა მთელი საზოგადოებისათვის მათი ხმის ადვილად და უბარიეროდ მიწვდენას ნიშნავს. იგი ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობისგან სოლიდარობის მოპოვების, სახელმწიფოსაგან სამოქალაქო უფლებების დაცვის მოთხოვნის გზაზე ნაბიჯების გადადგმის საწინდარია.

სახელმწიფო ენის ცოდნა ასევე მეტად გამოსადეგია საკუთარი კულტურის ქვეყნის სრულყოფილად გასაცნობად, ასევე, თანამედროვე ქართული კულტურის შექმნაში მონაწილეობის მისაღებად.

ქართული, საქართველოს მოქალაქე ეროვნული უმცირესობებისთვის, სინამდვილეში არც იმდენად უცხო ენაა, რადგან მისი შესწავლისას უამრავ საერთო სიტყვას აღმოაჩენენ - ზოგი აქტიურად გამოიყენება, ზოგიც მხოლოდ მწიგნობრობაშია შემორჩენილი, მაგრამ თავისი ტევადობა არ დაუკარგავს და ელის კვლავ შემოქცევას.

სახელმწიფო ენის - ქართულის ცოდნა, მართალია, მხოლოდ პირველი, თუმცა უზარმაზარი ნაბიჯია, საქართველოს ყოველ მოქალაქესთან ერთად საერთო სახელმწიფოებრივ ცნობიერებაში ფეხის შესადგმელი.

თქვენი ქასუმოვი

ნანა შავთვალაძე

ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის უფროსი
ორგანიზაცია „სემიტა. ენის სკოლის" დამფუძნებელი, დირექტორი

საქართველოს მოქალაქისთვის რამდენად ხელის შემშლელი შეიძლება აღმოჩნდეს სახელმწიფო ენის არასათანადო ცოდნა ინტეგრაციის კუთხით?

საქართველოს მოქალაქისთვის აუცილებელია ქართული ენის ცოდნა. არასათანადო ცოდნა კი, უდავოდ, ხელისშემშლელი იქნება ინტეგრაციის კუთხით.

როგორ ფიქრობთ, რა პრობლემას ხვდება საქართველოს მოქალაქე ყოფით ცხოვრებაში, თუ მას არ აქვს ქართული ენის შესაბამისი ცოდნა?

თუ საქართველოს მოქალაქეს არ აქვს შესაბამისი ცოდნა ქართულ ენაში, მას უჭირს კომუნიკაცია, საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება, სოციალური ურთიერთობები მოქალაქეებთან და მათი დასაქმებაც რთულდება.

თქვენი აზრით, რით განისაზღრება სახელმწიფოს როლი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებისთვის ქართული ენის ცოდნის გაღრმავების მიმართულებით?

სახელმწიფოს როლი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებისთვის ქართული ენის ცოდნის გაღრმავების მიმართულებით წარმმართველია, რადგან სწორედ სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებზე, გამოყოფს თანხებს, აძლევს მათ შესაძლებლობას შეისწავლონ სახელმწიფო ენა, რათა უკეთ შეძლონ საზოგადოებაში ინტეგრაცია.

რამდენად იცნობთ იმ პროგრამებს, რომლებიც სახელმწიფო ენის სწავლების კუთხით ხორციელდება?

სახელმწიფო ენის სწავლების კუთხით ბევრი პროგრამა ხორციელდება. შეიძლება ითქვას, რომ ნაწილობრივ ვიცნობ მათ.

თქვენი აზრით, რამდენად პასუხობს არსებულ გამოწვევებს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული პროგრამები?

ახლა ეს რთული სათქმელია. ფაქტობრივად უნდა პასუხობდეს, მაგრამ როგორ აკმაყოფილებს, ამას ზედმიწევნითი კვლევა სჭირდება.

როგორია თქვენი შეფასება სახელმწიფო ენის პროგრამის ფარგლებში ქვანიას სკოლის შეთავაზებული სერვისის შესახებ?

ქვანიას სკოლა ფასდაუდებელ საქმეს აკეთებს: ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა შორის სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებით ხელს უწყობს ქართულ საზოგადოებაში მათ წარმატებულ ინტეგრაციას და შესაბამისად, აძლევს განვითარებისა და საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფილი რეალიზების საშუალებას.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ ქვანიას სკოლის მხარდაჭერა სახელმწიფო პრიორიტეტად უნდა ჩაითვალოს.

მე ძალისა სულელური ვარ

ქ. დგანისის მუნიციპალიტეტის
სოფელი იაყუბლო

ვოჰარიკ ლულუკიანი

ეროვნებით სომეხი ვარ. ვმუშაობ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ განძის #2 საჯარო სკოლაში სომხური ენის მასწავლებლად. ქართულად მხოლოდ წერა-კითხვა ვიცოდი.

ქვანიას სკოლაში სწავლის შემდეგ მასწავლებელთა გამოცდაზე გავედი და საგნობრივი კომპეტენცია საგანში - "ქართული, როგორც მეორე ენა" 7 კრედიტქულით დავადასტურე. ასევე, ქართულ ენაზე გავიარე ტრენინგი და ველოდები უფროსი მასწავლებლის სტატუსს.

> ქვანიას სკოლამ მომცა საკუთარი თავის რწმენა, რწმენა იმისა, რომ შევძლებ სომხურ ენასთან ერთად სომეხ გავშვებს ქართული ენაც ვასწავლო და შევაყვარო. ყოველთვის მოგწონდა ქართული ენის ხმოვანება და სილამაზე.

მადლობა ამისთვის ქვანიას სკოლას, რომელიც ყოველთვის გულშემატკივრობს ყველა მსმენელს. ზოგჯერ ოცნებებიც ხომ სრულდება!

ქ. დგანისის მუნიციპალიტეტის
სოფელი იაყუბლო

აისოლ მიქაილოვა

გავშვობაში, როცა დედას დგანისის გაზარში დავყავდი და ადამიანები იქ ქართულ ენაზე საუბრობდნენ, მიკვირდა, რადგან მეგონა, რომ მხოლოდ აზერბაიჯანული ენა არსებობდა.

სკოლაში უკვე ვიცოდი, რომ მე საქართველოში ვცხოვრობ, ქართული სახელმწიფო ენაა და ეს ყველამ უნდა იცოდეს, საქართველო ხომ ჩემი სამშობლოცაა!

ქვანიას სკოლაში ქართული ენის სწავლის პროცესი ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. დავამთავრე ორი დონე და ჩავაბარე თსუ-ს მოსამზადებელ ჯგუფში. ახლა უკვე მე-3 კურსის სტუდენტი ვარ.

> აღარ მიჭირს ქართულ ენაზე სწავლა და ადამიანებთან ურთიერთობა, რაც შინაგან თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მმატებს. მყავს ბევრი ქართველი მეგობარი, ქვანიას სკოლის დამსახურებაა, რომ ასეთი მოტივირებული ვარ და ჩემი ცხოვრება საინტერესოა.

მარნეული, სოფელი ახკერპი

ლიანა ვარტუმიანი

„მე ქვანიას სკოლელი ვარ" - ამ წინადადებიდან უკვე ჩანს, რომ ეს ჩვეულებრივი სკოლა არ არის.

ქვანიას სკოლის წყალობით უფრო გაბედული გავხდი. გავიგე, რომ ადამიანი ვერ ისწავლის შეცდომების გარეშე, შემეცვალა ხასიათიც და აზროვნებაც. ამ მოკლე პერიოდში უკვე მივაღწიე გარკვეულ წარმატებასაც. ეს ყველაფერი კი, ჩემი მასწავლებლის წყალობითაა, რომელიც ჩვენი მეგობარიცა არის და ყოველ წუთს გვაჩვენებს სწორ მიმართულებას.

ვფიქრობ, ერთ დღეს მეც მეყოლება ჩემი მოსწავლეები, რომლებსაც ჩემს ცოდნას გადავცემ და გავუზიარებ.

წალკის რეგიონი ,
სოფელი ნარდევანი

ციალა სურმალიანი

სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა სომხეთში განვაგრძე. საქართველოში დაბრუნებისას დედის რჩევით ქვანიას სკოლაში შევედი. აქ გავიხსენე ქართული ენა, რადგან 3 წლის განმავლობაში ერთი ქართული სიტყვაც არ მქონდა გამოყენებული.

მეტიც, ვისწავლე ბევრი ახალი სიტყვა, გრამატიკულად სწორი საუბარი, ჩემი აზრის გამოთქმა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქართველოში მაგისტრატურაზე სწავლის გაგრძელება გადავწყვიტე. ამის იმედი და მოტივაცია სწორედ ქვანიას სკოლამ მომცა!

სკოლა საშუალებას აძლევს უცხოელებს, ისწავლონ სახელმწიფო ენა და მიიღონ მეტი შესაძლებლობები, განვითარდნენ და აიწყონ კარიერა საქართველოში.

მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ქვანიას სკოლელი ვარ!

პროგრამები

სკოლის მთავარი ფუნქციაა, სახელმწიფო ენის სწავლებით, ეროვნულ უმცირესობათა საერთო სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა

სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამა

მთავარი მიზანი: ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის ფლობა და მათი მოქალაქეობრივი განათლების დონის ამაღლება

საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამა

ითვალისწინებს საჯარო სექტორში დასაქმებულ და სხვა დაინტერესებულ პირთა პროფესიულ განვითარებას, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებას

საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების აკრედიტირებული საგაზისო პროგრამები

უზრუნველყოფს საჯარო სამსახურში მაღალი პროფესიული სტანდარტის დამკვიდრებას

სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამა

საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლთათვის სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ყველა სერვისის მიღების შესაძლებლობას დიდწილად ქართული ენის ცოდნა განაპირობებს. ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებისა და თითოეული მოქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაქსიმალურად ჩართვის მიზნით, ქვანიას სკოლა „სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამას“ ახორციელებს.

პროგრამა ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობის მიხედვით ხორციელდება და სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. მასში ჩართვა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ვისაც აქვს სურვილი შეისწავლოს ქართული ენა ან გაიღრმავოს ცოდნა.

პროგრამა მოიცავს სწავლების სამ საფეხურს:
ენის ფლობის A1 დონე;
ენის ფლობის A2 დონე;
ენის ფლობის B1 დონე

2016 წლიდან სკოლამ დაიწყო დარგობრივი მიმართულების სახელმძღვანელოების მომზადება (2016წ - 6 მიმართულება, 2018წ - 10 მიმართულება). დღეისათვის მომზადებულია 16 დარგობრივი მიმართულების სახელმძღვანელო (მენეჯმენტი, საბუღალტრო განათლება, ინფრასტრუქტურა, მეცხოველეობა, სასურსათო ტექნოლოგიები, საქმინო საქმე, ფინანსები და შესყიდვები, მშენებლობა, დამხმარე კურსი პედაგოგებისათვის (A2+ და B1+), სამართალი, ტრანსპორტი, ელექტრობა, ტურიზმი.), რომელთა საშუალებით ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შეუძლიათ კონკრეტული მიმართულებით სწავლა-სწავლებისთვის საჭირო ლექსიკისა და გრამატიკული კონსტრუქციების შესწავლა და პროფესიული უნარების შეძენა.

ასევე, მომზადდა სახელმძღვანელოები:

- „საკომუნიკაციო ქართული“, რომელიც ენის შემსწავლელს დაეხმარება, მოკლე დროში შეისწავლოს წერა-კითხვა და შეიძინოს საბეტყველო უნარები;
- „საანბანო კურსი“, რომელიც მსმენელებს ელემენტარული ენობრივი კომპეტენციისა და კომპიუტერული უნარ-ჩვევების განვითარებაში დაეხმარება.

სახელმწიფო ენის შესწავლის მსურველთა გაზრდილი მოთხოვნისა და სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით, 2015 წლიდან გაიხსნა მოგილური ჯგუფები, რაც სოფლებსა და ქალაქებში ცენტრებს გარეთ სწავლებას გულისხმობს, ხოლო 2016 წლიდან პროგრამა ხელმისაწვდომი გახდა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

მოგილურ ჯგუფებში სწავლება გულისხმობს სწავლებას რეგიონული სასწავლო ცენტრებიდან დაშორებულ ქალაქებსა და სოფლებში.

სახელმწიფო ენის პროგრამაში 2014 წლიდან დღემდე მოგილური ჯგუფები გაიხსნა 156 სოფელში, 2 ქალაქსა და 10 სამხედრო გაზაზე. სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით (2014 წლიდან დღემდე) ისარგებლა ეროვნული უმცირესობების 19 254-მა წარმომადგენელმა.

მსმენელთა მიზნობრივი ჯგუფები სულ უფრო და უფრო ფართოვდება. პროგრამაში ჩართული არიან სხვადასხვა ასაკის (16-63წ), რელიგიური მრწამსის, პროფესიისა და სოციალური სტატუსის მქონე პირები.

2020 წლის დასაწყისში ახალი კორონავირუსის შეზღუდვების ფონზე სახელმწიფო ენის სწავლება ახალი გამოწვევების წინაშე დადგა: საკლასო მეცადინეობებს ჩაენაცვლა დისტანციური სწავლება. სკოლამ რესურსების მოგილიზება და უმოკლეს პერიოდში სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადაყვანა შეძლო. საჭირო გახდა სასწავლო რესურსების განახლება და გაციფრულება. ასევე, ტრენერების წინაშე ახალი ამოცანები დადგა, მათ შორის, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლების პროცესში. იხილეთ მეტი

ქვანიას სკოლა სახელმწიფო ენის სწავლებას უზრუნველყოფს 12 რეგიონულ სასწავლო ცენტრში



4600 ქუთაისი, ნიკეას №13
zspa@zspa.ge

22, არისტოტელეს ქუჩა, წალკა 5300 საქართველო
n.jmukhadze@zspa.ge

33, თამარ მეფის ქუჩა, ახალქალაქი 0700, საქართველო
n.eknosian@zspa.ge

100, რუსთაველის ქუჩა, მარნეული, 3000 საქართველო
j.huseinova@zspa.ge

106, სულხან-საბას ქუჩა, გოლნისი 1100, საქართველო
n.chakvetadze@zspa.ge

9, ტერიანის ქუჩა, ნინოწმინდა 3400 საქართველო
e.qspoian@zspa.ge

2, სადგურის ქუჩა, გარდაბანი 1300, საქართველო
t.mandzulashvili@zspa.ge

სოფელი შრომა - საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი", ლაგოდეხი 2700 საქართველო ; n.bregvadze@zspa.ge

11, ლამგალოს ქუჩა, ლამგალო 3800, საქართველო
e.patarkatsishvili@zspa.ge

2, თუშეთის ქუჩა, ახმეტა 0900 საქართველო
j.kotorashvili@zspa.ge

1, თავისუფლების ხეივანი, დმანისი 1700, საქართველო
l.sikhuashvili@zspa.ge

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 113, რუსთაველის ქუჩა, ახალციხე 0800 საქართველო ;m.babluani@zspa.ge

საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამა

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთათვის ტრენინგების ჩატარებას, რომლითაც ხელს უწყობს საქართველოში მოხელეთა კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის დონის ამაღლებას.

პროგრამა პირისპირ სწავლების ფორმით ხორციელდება ქუთაისში, სკოლის გაზაზე, რეგიონულ სასწავლო ცენტრებსა და დამკვეთ ორგანიზაციებში, დისტანციურად კი, სხვადასხვა პლატფორმის მეშვეობით.

2019 წლიდან ქვანიას სკოლა ახორციელებს საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამებს: „მოხელის მენეჯერული უნარების განვითარება" და „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარება".

დღემდე აღნიშნული პროგრამებით საქართველოს 22 მუნიციპალიტეტიდან 305 თანამშრომელი გადამზადდა.

დარგობრივი პროგრამების (სულ 23 სტრენინგო პროგრამა) მიწოდების მიზნით, სკოლა აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტთან, იკვლევს მათ სტრენინგო საჭიროებებს, ქმნის და ავითარებს ისეთ სტრენინგო პროგრამებს, რომლებიც ადგილობრივ თვითმმართველობას დაეხმარება, რომ ჰყავდეს კომპეტენტური და პროფესიონალი კადრები და ადამიანური რესურსით მოგილიზებული შეხვდეს სახელმწიფოში მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებს.

პარტნიორები და ერთობლივი პროექტები

2019 წლიდან სკოლა აქტიურად ჩაერთო რეფორმების მხარდამჭერ პროცესში, ადგილობრივ თვითმმართველობაში შესაბამისი თანამშრომლების კომპეტენციების განვითარების მიმართულებით.

ერთ-ერთი პირველი ამ მხრივ UNICEF GEORGIA-სთან ერთად განხორციელებული პროექტია, რომლის მიზანიც სკოლამდელი განათლების რეფორმის იმპლემენტაციისათვის თვითმმართველობაში მომუშავე შესაბამის პირთა საჭირო უნარებით აღჭურვა იყო.

საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამა
პარტნიორები და ერთობლივი პროექტები
საპილოტე რეჟიმში პროექტი განხორციელდა 12 სამიზნე მუნიციპალიტეტში. მეორე ფაზის ფარგლებში იგეგმება მუნიციპალიტეტების რაოდენობის ზრდის გზით გეოგრაფიული არეალის გაფართოება.

სკოლა სტრენინგო პროგრამის „საქართველოს საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის" სრულყოფასა და განვითარებაზე მუშაობას განაგრძობს. პროგრამა „ათასწლეულის გამოწვევის ფონდსა" და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდა.

სკოლა 2016 წლიდან არის ევროპის საჯარო მართვისა და ადმინისტრირების სკოლების ქსელის DISPA-ს წევრი და აქტიურად თანამშრომლობს პოლონეთის ლეხ კაჩინსკის სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლასთან.

2020 წლის ნოემბერში სწორედ აღნიშნულ სკოლასთან ერთად განხორციელდა სახელმწიფო პოლიტიკის საკითხზე სტრენინგო პროგრამა, რომელიც ქვანიას სკოლის ისტორიაში პირველი საერთაშორისო პროგრამაა.

2020 წელს, კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე, სკოლა მუშაობის ონლაინრეჟიმზე გადავიდა

გაიარე რეგისტრაცია, გახდი ჭვანიას სკოლელი



გთხოვთ აირჩიოთ თქვენთვის სასურველი სწავლების ფორმა

ონლაინ კურსი

რეგულარული (საკლასო) კურსი

აირჩიეთ თვენთვის სასურველი კურსი

აირჩიეთ თვენთვის სასურველი კურსი

აირჩიეთ...

რა მიზნით გსურთ აღნიშნული კურსის გავლა?

პირადი ინფორმაცია

სახელი

სქესი

ქ. მ.

საკონტაქტო მობილური ტელეფონი

გვარი

დაბადების თარიღი

რეგიონი

გლდანი-ნაძალადევი

პირადი ნომერი

ელ-ფოსტა

საცხოვრებელი მისამართი

პირადობის მოწმობის 11 ნიშნა ნომერი

ატვირთეთ პირადობა

Choose file No file chosen

ატვირთეთ პირადობა jpg ან pdf ფორმატში (არასრულწლოვანის შემთხვევაში ატვირთეთ მშობლის პირადობა)

დამატებითი ინფორმაცია

განათლება

სახელმწიფო ენის ცოდნის დონე

ცუდი

დამფინანსებელი

ორგანიზაცია/დამსაქმებელი

სამუშაო ადგილი და თანამდებობა

სახელმწიფო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ თქვენ წარმოადგენთ ეროვნული უმცირესობას)

Choose file No file chosen

დამფინანსებელი დამსაქმებლის/ორგანიზაციის საკონტაქტო ინფორმაცია

სამსახურის მისამართი

მონიშნეთ როგორ მოიპოვეთ ინფორმაცია სკოლაში არსებული სასწავლო პროგრამების შესახებ

თქვენი ორგანიზაცია

სტატუსი

სტუდენტი

სამსახურის ტელეფონის ნომერი

ენაზე მოსაუბრე

დადასტურება

ან დაგვიკავშირდით 11:00-13:00 სთ-მდე:

ზურაბ ჭვანიას სახელოგის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

ნიკეას №13, ქუთაისი, 4600

ელ-ფოსტა: zspa@zspa.ge

ტელ: (0431) 232600

სარეგისტრაციო ფორმა